

სახალხო გაზეტი

სუბსტივიანი ლამაზი

გაზეთის № 627


ლაგატივის № 110

კვირა, 17 ივნისი 1912 წ.

ი. ს. გოგებაშვილის დაკრძალვა



განსვენებულის კუბო სამარესთან.



წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სადგომის წინ.



დიღუბეში მისვენება.

მთუზიარებელი ალთაბა

(კატულ მენდესისა).

ქუჩაში მაწანწალა ვინმე მიდიოდა: ფეხშიშველა, დაძონ-ძილ ტანისამოსში, გრძელ-კულულა თმებს ქარი უთამაშებდა. მის სახეს სიჭაბუკის ბეჭელი ემჩნეოდა; ოქროს ფერი თმა მხრებამდის სწვდებოდა. შავი დიდრონი თვალები გაბედულად და ამაყად გამოიყურებოდა. ახალგაზდა ქაბუკი ამ აძონძილ ტანისამოსში უფრო ლამაზი მოსჩანდა, ვიდრე ბევრი სასახლის კავალერი, რომლებიც აბრეშუმ და ხავერდის ტანისამოსში არიან გამოწყობილები.—ჰიპ, რა ლამაზი რამ არის!—უცბად შესძახა მაწანწალამ, რომელიც მეფის სასახლის ფანჯარასთან შეჩერდა, სადაც როზალინდა დაინახა, მეფის ასული, რომე-

ლიც ფანჯრიდან უცქეროდა გამვლელ-გამომვლელებს ქუჩაში.

მართლა რომ ლამაზი არსება იყო, და ძნელად თუ იმაზე კიდევ უკეთესს ნახავდა ადამიანი. თავზე უკან ხელებ მოხვეული რომ გენახათ, ზეციურ არსებას ჰგავდა, ანუ ცოდვიან მიწაზე მოვლენილ ანგელოზს. როზალინდა ამ გვარად დიდხანს იდგა ფიქრებში გართული, მხოლოდ ახალგაზდა ქაბუკის ხმამ გამოარკვია.

ეს სიტყვები წარმოსთქვა თუ არა ქაბუკმა, ნახა, რომ მას როზალინდა უცქეროდა, შერცხვა და ფეხს აუჩქარა, თავის დიღურ ქირ-ვარამის ფიქრებს მიეცა და თანაც მომავლის იმედით ოცნებობდა.

მზე ნელ-ნელა დასავლეთისკენ ეშვებოდა: პატარა ნიავმა ყვავილ-ბალახების სასიამოვნო სუნი ჰაერში მოჰფინა. დაბურულ ტყის ხეებმაც ოღნავ ქანაობა დაიწყო და ხის ფოთლებ-

მა ერთმანეთს რაღაცა ჩურჩულით შეეგებნენ. ფიქრებ შემოწოლილი ახალგაზდა სულ წინ მიდიოდა.

— „ეგ წუხილი რას მოგიტანს, ჩემო ყმაწვილო“, — ჰკითხა ბებერმა დედაკაცმა, რომელიც ფიჩხ აკიდებული ტყიდან გამოდიოდა.

— „გულ-კეთილო ადამიანო, ჩემი შველა ხომ არ შევიძლიან, მაშ, რა საჭიროა გაიგო ჩემი გულის ტკივილი?“

„სცდებით, ბატონო“. — უბასუხა ბებერმა დედაკაცმა, ფიჩხის კონა ზურგიდან მოიხსნა და ძირს დაადო; ამ დროს იგი ლამაზ ფერიად იქცა, ვერცხლის ფერ კაბაში გამოწყობილი და ძვირფას ბრილიანტის შუბლის ქინძისთავ გაკეთებული. გამხმარი ფიჩხის ტოტები უცბად ამწვანდა ფურცლები შესხმულები, და მათ ტოტებში ფერადმა ფრთოვანმა ჩიტებმა გალობა მორთეს სასიამოვნოდ.

— „კეთილ მოწყალეო, ფერიავ!“ — შესძახა ახალგაზდამ, რომელიც მუხლებზე დაეცა; — „შემიბრალეთ. იმ დღიდან, რა დღიდანაც მეფის ასული დავინახე, გული ჩემი მე აღარ მეკუთვნის, და ვგრძნობ, რომ მეტის სიყვარული შეუძლებელია. ჩემი უბედურება შეუდარებელია და ვგრძნობ, რომ მოვკვდები, თუ ცოლად არ შევიერთე.“

— „მაგ მწუხარების შველა ადვილია?, — უთხრა ფერიავ: „ვისაც უყვარს, იგიც ღირსია სიყვარულისა.“

— „ჰო, მაგრამ ჩემი ფეხშიშველა ფეხები! ჩემი ბედკრული მდგომარეობა! განა მეფე და მეფის ცოლი მოისურვებენ ჩემისთანის სიძეობას?“

— „მაგაზე რა გაწუხებს“, — უთხრა ფერიავ: — „გინდ სასახლის ამალამაც მასხარად აგიგდოს, გინდ ძაღლებიც მოგისიონ, მაინც გათენდება ღღე, როდესაც როზალინდა შემოვა შენს ბედკრულ პატარა ქოხში და გაგაგონებს სიყვარულით სავსე სიტყვებს.“

ქაბუკმა უკმაყოფილოდ თავი გაიქნია.

— „გაფთხილდი“, — უთხრა ფერიავ, — „სიყვარულს ექვი არ უყვარს და შეუძლიან მას შეუბრალებელივ მოგექცეს.“

— „კეთილო ფერიავ“, — უთხრა ახალგაზდა ქაბუკმა, — „ამისრულე მხოლოდ ერთი სურვილი და ბედნიერი ვიქნები.“

— „კარგი“, უბასუხა ფერიავ: „მხოლოდ ერთი, და ამასთანავე, თუ შემდეგ სინანულში ჩავარდე, მე გადაკეთება აღარ შემიძლიან, რაც აგისრულო.“

— „მე მსურს გავხდე უძლიერეს მეფის წულად დედამიწაზე. მაშინ შემიძლიან შევიერთო ნეფის ასულა და ბედნიერი ვიქნები.“

ფერია ოდნავ შეეხო ქაბუკს ოქროს ჯოხით და საკვირველი ცვლილება მოხდა.

უცბად ფერიის წინ მშვენიერ გამოწყობილ ტანისამოსში კავალერი გამოიქიმა, რომელსაც გვერძე ხმალი ჰქონდა გაკეთებული სულ ძვირფასს თვლებით მორთული.

იგი სასახლის და მხედართა ამალას წინ გაუძღვა, რომლებიც იარაღის ჩხარუნით და საყვირის ძახილით მიდიოდნენ.

II

ასეთი გამოჩენილი პირი, როგორც პრინცი იყო, რასაკურველია, სასახლეში კარგად მიიღებდნენ. ერთი კვირის განმავლობაში სტუმრობას უმართავდნენ და მის სახელზე ღღე-სასწაულობდნენ, ჯირითობდნენ, დროებას ატარებდნენ, ერთის სიტყვით ასრულებდნენ, რის ასრულებაც კი შეეძლოთ. მაგრამ ასეთი ღღესასწაული-მხიარულება მას სრულიადაც არ ახალისებდა. ყოველ წუთში, ღღე-და-ღამ მხოლოდ როზალინდაზე ფიქრობდა და სადაც კი უნდა თვალი დაეკრა, მის დანახვაზე გული უცემდა, და მისი ხმის გაგონება ზეციურ ჰანგად ეჩვენებოდა.

მხოლოდ ერთი რამ უზომოდ აწუხებდა მას, ის არსება, რომელიც მას უყვარდა, მოწყენილად და ჩუმად რჩებოდა. თუმცა ქორწილობაზე მაინც არ უარობდა და როზალინდას მშობლებიც მზად იყვნენ ასეთ შესაფერ სასიძოს შოვნაზე თანხმობას.

ამ გვარად, ახალგაზდა ქაბუკს მალე უსრულდებოდა ნატურა.

მაგრამ, ეჰ, დიადი ოცნება ისევ ოცნებად დარჩა.



„გინძე მესხი“ მლ. ივანე გვარამაძე დაიბადა 1831 წ. გარდაიცვალა 24 მაისს 1912 წ.

როზალინდამ როგორც კი გაიგო მშობლების სურვილი, უცბად გული წაუვიდა და ძირს დაეცა; უგრძობლად ხელზე დასვენებული საწოლ ოთახში შეიყვანეს.

როდესაც გონს მოვიდა, როზალინდამ ტირილით და ხელების ფშვინით უთხრა, რომ არ მსურს გათხოვება, და ჩემთვის სიკვდილი ბევრად უკეთესი იქნება, მინამ პრინცს გავეყვე ცოლად.

ღრმად უბედურობა ნაწვევი, შეყვარებული პრინცი ნეფის ასულს ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა და დაჩოქილი სასოწარკვეთილებით ხელების ფშვინეტა დაიწყო.

„უგულო“, შესძახა: „წაიღე ის სიტყვები უკან, რომლებიც მე სიცოცხლეს მართმევინ.“

ნეფის ასულმა თვალები გაახილა და მტკიცედ უბასუხა: „პრინც, ჩემი გადაწყვეტილება უცვლელია, ცოლად არა დროს არ გამოგყვებით.“

„როგორ“, შესძახა პრინცმა: „განა გულ-ქვა ყოფილხარო!“ მაშ გინდათ მოსწამლოთ ის გული, რომელიც მხოლოდ თქვენით ცოცხლობს? განა ისეთი რა დანაშაული მიმიძღვის, რომ ასეთი შეუბრალებლობა დავიმსახურო. ეჰ, რომ შეგეძლოთ იმის წაკითხვა, რაც ჩემ გულშია, როგორ მიყვარხარო, თქვენც სამაგიერო პასუხს მომცემდით. ჩემი ლტოლვილება იქამდის ძლიერია, რომ ღირსი ვარ თქვენი შეუდარებელი სილამაზისა. მომეცით იმედი, ანა რადა თქვენს ფერხთ წინ დავლევ სულს, ნეფის ასულო.“

ჯერ სრულიად არ დაეთაგებინა პრინცს სიტყვა, რომ ნეფის ასულმა უბასუხა: „ბეჩაო პრინცო, თუ ჩემი სინანული რამეს გიშველით, სიამოვნებით მოგიძღვნით, მითუფრო, რომ მე თვითონ განვიციდი თქვენსაებრ გულის ქენჯნას.“


ღრმად და უიმედოდ მიყვარს მშვენიერი ახალგაზდა ოქროს კულულებიანი მაწანწალა, რომელმაც ერთხელ მაძიემის სახლის წინ გამიარა, ფეხშიშველა აძონძილ ტანისამოსში. მხოლოდ ერთხელ შემომხედა, და ამ შემოხედვამ საშუალო ბეჭედი დაასვა ჩემს გულს. შემიყვარდა, და მიყვარს უიმედოდ, როგორც თქვენ, პრინცო, მე გიყვარვართ.“

ამ სიტყვების შემდეგ აღვა და თავის საწოლ ოთახში შევიდა.

ა. საათაშვილი.



კომპიუს ნანგრევები.



ამ სურათზე გამოსახულია ობელი ფირმას ოჯახობა, იმ სახით, როგორც დაიტანა იგინი 79 წ. (ქრისტეს აქეთ), ცეცხლის მფრქვეველ მთიდან ამოხეტილმა ღველფმა.

მ ა ლ ე ბ ი

ფ. ჰერცეგისა *).

ვანშმის შემდეგ ორივე ქალი სასტუმრო ოთახში გავიდა, ჩაიკეტეს კარი და მოთავსდნენ ოთახის მყუდრო კუთხეში. მალეონა თავისუფლად წამოგორდა ფართო დივანზე ვილმა კი ჩაესვენა რბილ საფარძელში. ჩააქრეს ელექტრონის ლამპები.

ღიასახლისმა მალეონამ პაპიროს მოუკიდა. მისი პროფილი მოხდენილი სისწორით განიჩჩეოდა, ოდნავ ფერმკრთალი იყო, გამოიყურებოდა თამამად ზოგჯერ კი უტიფრადაც.

სტუმარი ქალი ვილმა კი ოდნავ ჩასუქებული, წყნარი ნაზი და პირფერი იყო; ვანშამზე დაღეულ შამპანიურის წყალობით მოღუწნება და ოცნებით გატაცება ეტყობოდა.

მყუდროება პირველად მალეონამ დაარღვია.

- საყვარელო, მართლა ეყრები ქმარს?
- დიახ, მეგობარო, — წყნარად მიუგო ვილმამ.
- ეს დიდად საინტერესოა, ჩვენ ერთ წელიწადს დავასრულეთ სასწავლებელი, ერთ და იმავე წელიწადს გავთხოვდით, ეხლაც ერთ დროს ვეყრებით ქმრებს.
- ბედი! — ამოოხვრით სთქვა ვილმამ.
- იცი, ასე მგონია, რომ შენ ქმარს არ ჰღალატობდი.
- მალეონა!

— დავიჯერო, საყვარელო, არ შეგიძლია ხუთის წუთით მაინც გულწრფელი იყო?

— რისთვის მეკითხები?
— ნამდვილი გითხრა, არასოდეს არ მახსოვხარ გულწრფელი, ასე წარმოიდგინე მაშინაც კი, როცა ჩვენ პანსიონში ვიყავით. ჩემის აზრით ისეთ ნაზ ქმნილებას, როგორიც შენა ხარ სიცრუე და ორპირობა შესისხლობრცებული აქვს.

— ისე გაბედულად მეუბნები, თითქო შენ არასოდეს არ გათქვას ტყუილი.

— დიახ, მე არასოდეს არ მითქვამს ტყუილი, ერთხელ ვცადე და ვერც მაშინ მოვახერხე. საზოგადოთ მე ტყუილი ისე მძულს, როგორც ჭუჭყიანი საცვალი... ერთი რამ მინდა გკითხო.

- აბა?
- მართალია რომ ქმარს ოსკარ დობოს გულისთვის ეყრებით?

ვილმა აენტო. ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ დობილის უტიფარმა გულახდილობამ მაზედაც იმოქმედა და გადასწყვიტა სიმართლე ეთქვა.

- დიახ, სწორედ მისი გულისთვის.
- მაშინვე მივხდი. — ნამდვილი გითხრა ამ დათეს ბედი აქვს, ყოველთვის დუშაში მოსდის. იცი ჩემო კარგო, რომ ჩემი ქმარიც სწორედ მაგ დობოს გულისთვის მეყრება.

ამ ამბავმა პირველად ვილმა არც კი შეაშფოთა, მაგრამ როცა ცოტა დაფიქრდა ისე შეწუხდა რომ ადგილიდან კინაღამ გადმოხვდა.

— ნუ თუ დობომ შენც მოგატყუა?
— ნუ ცხარობ, ვილმა ეს შენ დიდიხანა იცოდი. დობო არც მე მატყუებდა. არაფერს არ დამპირებია და არ მოველოდი მისგან რამეს. დობო ნამდვილი ვირია, რომელიც მაღალ წრეში ლომის სახელით არის მიღებული. გულუბრყვილო ვირი, რომელსაც არავითარი ღირსება არ აქვს, რომ ლომად იხსენებოდეს... შემთხვევის მადლობელი უნდა იყოს, რომ ასე გაითქვა სახელი.

როცა დობოზე დაიწყო ლაპარაკი მას პირველად აღშფოთება შეეტყო, მაგრამ მალე დაწყნარდა ჩვეულებრივად გულგრილი სიცილი დაიწყო. ნდობის კილოთი მიჰპართა ვილმას და ჰკითხა.

— საყვარელო, ეხლა მარტონი ვართ, მითხარი, რისთვის ლალატობდი ქმარს?

ვილმამ მწუხარედ თავი გააქნია, მაგრამ ჰასუხი არ მისცა.


- თქვენ ხომ „საყვარულით“ შეუღლდით!
- დიახ!
- შენი ქმარი ხომ ძლიერ კარგად გეპყრობოდა?
- მე გაგიჟებით ვუყვარდი.

იმას ლაპარაკის საღერდელი კვლავ აეშალა და რასაც წინად თავის სულიერ მოძღვარს აღსარების დროს არ ეტყოდა თავის ცბიერ დობილს ყველაფერი გულ-ახდილად უამბო; მისი გულ-წრფელობის მიზეზი იყო (სხვათა შორის) ვანშამზე მირთმეული შამპანიური და ოთახის მყუდრო სიბნელე.

— დიახ ჩემს მეუღლეს ძლიერ უყვარდი და ყოველივე უბედურების მიზეზიც ეს მისი ჩემდამი უსაზღვრო საყვარული იყო... მე მისთვის არავითარი მიზეზი არ მიმიცია, რომ იქვიანი ყოფილიყო, მაგრამ მან მაინც იქვიანობა ჯვარის-წერის პირველ დღიდანვე დაიწყო... ის იქვიანობაში ნამდვილი ოტელი იყო... ყოველ ფეხის გადადგმაზე ლალატი ეჩვენებოდა... პირველად მამცირებდა თავის მშერიობით და მეც სასოწარკვეთილობამდე მიმიყვანა... მას არ ჰსურდა, რომ მე მოხდენილად, ლამაზ და კოხტად ჩამეცვა, თუ სადმე გავისერიებდი — გიჟდებოდა, ერთი სიტყვით, მოკლედ რომ ვსთქვათ, ყოველგვარ უმსგავსობას ჩადიოდა.

- მაგალითად?
- სტეფანა ჩემს ყუთებს, მეტყუადა ვითომც შორს მიემგზავრებოდა, მოულოდნელად კი იმავე საღამოს ბრუნდებოდა, მოსამსახურეებიც კი მოისყიდა.
- შენს წერილებსაც ხსნიდა?!
- რა საკვირველია! ნახევარი წლის წინად რალაც-ნაირად ჩვენსა დობო მოვიდა. რასაკვირველია, ის ჩემ ქმართან

კომპიუს ნანგრევები.



მდიდარ ობელი ფირმას სასახლის ნანგრევები.

უფრო მოვიდა, ვიდრე ჩემთან. რა თქმა უნდა კარგად იცნობ ოსკარს! ისეთი კაცი და ისეთი მიხვრა-მოხვრა...

- ნამდვილი ვირი! მემრე, განაგრძეთ!
- ამის შემდეგ ჩემს ქმარს მთლად მოეღო იქვის აღმურობა... თეატრში თუ წასვლას მოვისურვებდი, ის ფიქრობდა, რომ მე იქ დობოსთან მივდივარ პაემანზე.

*) უნგრეთის ცნობილი მწერალია. დაიბადა 1863 წელს. მისი მოთხრობები მოგაგონებს გიულამ მოპასანის სიუჟეტსა ნოველებს. მთარგმნელი.

— დაასრულეთ ღვთის-გულისათვის, ეს დიდად საინტერესოა.

— მომბეზრდა ამნაირი ცხოვრება და მივწერე დობოს ჩვენს სახლში სიარული შეეწყვიტა.

— მაგ გვარ წერილებზე ას მამაკაცში ოთხმოცდა ცხრამეტი მხურვალე სიყვარულის გამოცხადებით უპასუხებენ ხოლმე.

— და დობომაც სწორედ ასე მიპასუხა. მისი წერილი საესკო იყო „სიყვარულით“, „პატივისცემით“ და „თავ-განწირვით“.

— შენა სთქვი, რომ შენი ქმარი შენს წერილებს ხსნიდა ხოლმე?

— დიახ, მან გახსნა ეს წერილიც! მოხდა სასიშარო სცენა! ვეფიცებოდი ყველა ჩემს წმიდა წმიდათას, მაგრამ ამაოდ, მაინც შეურყეველი იყო.

მალვინა სავარძელზე შეიმუშნა.

— და მან გცემა შენ?— აღელვებით ჰკითხა დობილმა.

— დიახ!.. საბრალო!..

— შენ რა ჰქენი?

— მე? მე შეურაცყოფილმა და უზომოდ გაბოროტებულმა დავტოვე და წამოვედი.

— დობოსთან?

— დიახ, მასთან... მან მცემა უმიზეზოდ, მაშ კარგი! სა-მაგიერო ჩემგანაც იწვნიოს... მეც გაყრის მიზეზი მივეცი... ვიღმა, შენ რომ ჩემს ადგილს ყოფილიყავი შენც აუცილებლად ჩემსავით მოიქცეოდი.

მალვინა ისევ გაიშხლართა დივანზე, მემრე წყანარად წირმოსთქვა:

— გამიგონე, ვიღმა. ჩვენში რომ მიღებული იყოს მოლაღატე ცოლების დაწვა, მე იმ კოცონზე, რომელზედაც შენ დასაწვავად დაგდებდნენ ორივე ხელებით, დიდის სიამოვნებით ერთ კონა ფიჩხს შეუკეთებდი.

— შენ? შენ მეუბნები მაგას?

— დიახ, მე გეუბნები, თუმც მეც მაგ ვირისთვის ვლაღატობდი ქმარს.

— შენი ქმარი ხომ მაინც არ იყო იქვიანი?..

— ოხ, სრულებითაც არა! ის ნამდვილი რაინდი (დჟენტიმელი) იყო... ის როცა შენიშნავდა, რომ მე საზოგადოებაში რომელიმე ახალგაზდასთან ვკეკლუცობდი აუცილებლად იმ ახალგაზდას სახლში დამპიტივებდა.

— ეს ხომ დიდად სასიამოვნოა!

— დიახ, სასიამოვნო! და საზოგადოდ ძლიერ სასიამოვნო ქმარი იყო, ზრდილი, დარბაისელი, თანამგრძობი. მე არასდროს მახსოვს გაჯავრებული ან გულმოსული.

— და უყვარდი კიდევ?

— სიკეთით აღსავსე იყო, ნამდვილი ქველი. ნამდვილი გითხრა, ისე მეპყრობოდა როგორც სათუთად საყვარელ ბავშვს. მე არ შემიძლო გამოფენაზე მომწონებოდა სურათი, ან ქუჩაში მექო ცხენი თუ მისი ყიდვა გადაწყვეტილი არ მქონდა, თუ რაიმეს კი მოვიწონებდი მეორე დღეს დილით აუცილებლად ყიდულობდა და მიძღვნიდა ხოლმე.

— ხომ არ გლაღატობდა?

— არ ვიცი, ვფიქრობ, კი რომ არა. საღამოობით ყოველთვის მიდიოდა სახლიდან, როგორც ამბობდა კლუბში.. შეიძლება მართლაც იქ დადიოდა. მაგრამ ერთ დღეს, როცა შემატყო რომ მე სახლში უიშისოდ მოწყენილი ვრჩებოდი— კლუბში სიარულსაც თავი დაანება.. ძლიერ თავაზიანი და მოსიყვარულე ზოგად. მეც არ მინდოდა მისგან მსხვერპლი და ვსთხოვე საღამოობით ისევ ევლო ხოლმე კლუბში.

— მერე რა მოხდა?

— არაფერი! მე ხან და ხან დაუფიქრებელი ჩემს ბედს და ერთ მშვენიერ დღეს შემდეგ დასკვნას დავადექი: ჩემი ცხოვრება სწორედ იმ გვარია სწორია, პირდაპირი და ერთგვარი როგორც რკინის გზის ლიანდაგი. ჩემი დღეებიც ისე ერთნაირად გარბის, როგორც ტელეგრაფის ბოძები; ხანში შევდივარ, ვხუტდები და ვიცი მომავალში რაც მომეღის და როგორი ბოლოც ექნება ჩემს ცხოვრებას. როცა მივახწევ უკა-

ნასკნელ სადგურს, დაჰკრავენ ზარს, გააჩერებენ მატარებელს და მე საუკუნოდ ჩამკეტვენ ფარდულში.

აი ჩემი ცხოვრების ბოლო!

— მაგრამ მგზავრობამ ასე მშვიდობით არ ჩაიარა, მოხდა მარცხი არა?

— დიახ, თვითონ მოვაწყე ისე მატარებელი ცოტათი გადასცდა ლიანდაგს. მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემს ეთგვარ მეტის მეტად მოსაწყენ მგზავრობაში მცირედი ცვლილება შემეტანა.

— სწორედ ამ დროს სცენაზე გამოჩნდა ოსკარ დობო, არა?

— ყველა ჩემს მოარზიყე თაყვანისმცემლებში დობო ყველაზე სულელი და ტუტუტი იყო. თავის დაჭინებული აკვირებები ყოვლად მშვიდ ქმარსაც კი მოთმინებიდან გამოიყვანდა.

— რამდენადაც ვიცნობ, დობო ზრდილი ვაჟია.

— დიახ, ესლა, როცა გავრწვრთენი, აღვზარდე... ყველაფერ ზომას ვხმარობდი რომ ჩემ ქმარს ექვი აღძროდა. ვარწმუნებდი ჩემს თავს, რომ ამის შემდეგ ყველაფერი კარგად წავიდოდა. ვფიქრობ თუ ჩემი ქმარი ექვიანობას დაიწყებდა, დობოს სახლიდან კინწისკვრით გააგდებდა... მეც წამებას დამიწყებდა.. შეიძლება კიდევ ეცემა... ეს კი ძლიერ კარგი იქნებოდა.

— რა იქნებოდა კარგი, ქმარს რომ დაერთყა?

— არა, კარგი ის იქნებოდა თუ ამ დარტყმას მოთმინებით ავიტანდი და როგორც შეჭფერის დიდ სულოვან ადამიანს ვაპატივებდი.

— მერე მოახერხე ისე როგორც გსურდა?

— არა, ყველა ცდამ ამაოდ ჩამიარა. მე ვკეკლუცობდი, ვკეკლუცობდი თავდავიწყებით უსირცხვილოდ, ქმარი კი ისევ ზრდილი და მომთმენი იყო, მასში, იქვიანობამ ოდნავაც არ გაიღვიძა.

— მალვინა, სწორედ გაგიჟებულხარ!

— სასოწარკვეთილმა ისე მოვახერხე, რომ მატარებელი ლიანდაგს გადასცდა და ამის წყალობით განქორწინების პროცესიც დაიწყო.

— მერე ეს როგორ გაიგო შენმა ქმარმა?

— თვითონ უამბე.

— მან კი?

— ის მაშინაც უბადალო რაინდულად მოიქცა... „საყვარელო, მითხრა, მე მსურს ეს საქმე უსკანდალოდ გათავდეს, ჩვენ იქნებ მოვინახოთ განქორწინების რაიმე ნამდვილი საბუთი. რაც შეეხება შენს ქონებრივ მხარეს, რასაკვირველია, უზრუნველ ყოფილი იქნები“. მეორე დღეს გადავიდა სასტუმროში, სასახლე კი თავის მოწყობილობით როგორც ჰხედავ მე დამჩნა.

— მერე, ჰნანობ რომ ასე მოიქეც? ჰკითხა ვიღმამ.

— მალვინამ თავი გააქნია.

— სრულებითაც არა! მე ის მოვატყუე, უღალატე, მან კი ერთხელაც არა მცემა აბა რა კაცია მითხარით? მართალი გითხრა ასედაც სჯობს ვიდრე მუდამ ლიანდაგზე ერთნაირ რახ-რახს.

— მალვინა,— უთხრა ვიღმამ,— ჩაქოლვის ღირსი ხარ!

ა. წ—ძე.

